



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 12 იანვარი

**დისციპლინური საქმე №146/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2021 წლის 2 დეკემბრის №146 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 8 დეკემბრის №577/146-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ სარჩელში არ იყო სადაო საკითხზე მითითებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და მოსარჩელეს არ ჰქონდა გამოყენებული ადმინისტრაციული ორგანოსადმი ერთჯერადად გასაჩივრების ვალდებულება, თუმცა მისი განმარტებით მტკიცებულებებით სხვა რამ დასტურდება (საქმეზე №--).

ასევე, საჩივრის ავტორის მტკიცებით, მის მიერ გადაგზავნილი სარჩელის ფორმა იყო ხელმოწერის გარეშე რაზეც ყურადღება არ გაუმახვილებია მოსამართლეს (№-- და №-- საქმეებზე).

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. (საქმეზე №--) - 2021 წლის 6 სექტემბერს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- №-- პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიმართ ქმედების განხორციელებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 13 სექტემბრის განჩინებით -- -- სარჩელზე დადგენილი იქნა ხარვეზი. მოსარჩელეს დაევალა იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ქმედების განხორციელების დავალება უნდა წარედგინა მტკიცებულება იმისა, რომ მან იგივე მოთხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2021 წლის 30 სექტემბერს -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელემ და წარადგინა 2021 წლის 30 ივლისის და 20 აგვისტოს ოქმები. -- -- სასამართლოს 5 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს

გაუგრძელდა -- -- სასამართლოს 2021 წლის 13 სექტემბრის №-- განჩინებით ხარვეზის შესავსებად ვადა 10 (ათი) დღით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს 2021 წლის 13 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ შეუსვია.

2021 წლის 18 ოქტომბერს მოსარჩელე -- -- სასამართლოში დამატებით წარადგინა სარჩელი თანდართული მასალით.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელი №-- პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიმართ ქმედების განხორციელების დავალებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით არ იქნა მიღებული განსახილველად.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის განჩინება -- -- სასამართლოში გაასაჩივრა -- -- და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 30 ნოემბერი განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- -- სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის განჩინება და საქმე სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.2. (საქმეზე №--) - 2021 წლის 5 ოქტომბერს -- -- სასამართლოს სარჩელით მომართა -- -- №-- პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, №-- პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი -- -- და №-- პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ექიმ -- -- მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების, მორალური ზიანის ანაზღაურებისა და ექიმის მხრიდან სავალდებულო ინსპექტირების არ განხორციელების დადგენის მოთხოვნით.

2021 წლის 4 ნოემბერს მოსარჩელე -- -- სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 8 ოქტომბრის №-- განჩინებით მოთხოვნისა და მოპასუხის დაზუსტების, ასევე ფაქტებისა და გარემოებების მითითების მიზნით განსახილველ სარჩელზე დადგენილი იქნა ხარვეზი, მოსარჩელეს ასევე მიეთითა, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების თაობაზე.

სასამართლოს 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინებით დასაშვებობის პირობებზე მითითების მიზნით, კერძოდ კი №-- პენიტენციური დაწესებულების 2021 წლის 15 ივლისის №-- და 2021 წლის 18 ივლისის №-- ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში მათი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების საკითხის გადასაწყვეტად გაუგრძელდა საპროცესო ვადა 10 დღით.

სასამართლოს 18 ნოემბერს მიმართა მოსარჩელემ. წარდგენილი განცხადებით მოსარჩელემ მიუთითა, მის მიერ 2021 წლის 4 ნოემბერს წარდგენილი დაზუსტებული სარჩელის ხელმოუწერობის შესახებ და ასევე ითხოვა სასამართლოს მიერ დახმარება მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 24 ნოემბრის განჩინებებით მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში მიღებული იქნა განსახილველად, ხოლო -- -- სარჩელი №-- პენიტენციური დაწესებულების მიმართ პენიტენციური დაწესებულების 2021 წლის 15 ივლისის №-- და 2021 წლის 18 ივლისის №-- ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნით არ იქნა მიღებული განსახილველად.

2021 წლის 26 ნოემბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- --, სადაც აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ მითითებული აქტების ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების დამადასტურებელი რეგისტრაციის ნომერი და ასლი არ გადასცემია №-- დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ და იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელემ ნამდვილად გაასაჩივრა აღნიშნული აქტები, საკმარისია №-- დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნეს მის საკანში ფანჯარასთან დამონტაჟებული ვიდეოკამერის ჩანაწერი.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 13 დეკემბრის განჩინებით -- -- 2021 წლის 26 ნოემბრის განცხადება დარჩა განუხილველი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის

სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია. შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

-- -- 2021 წლის 2 დეკემბრის №146 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი